

შპს „ოქსიმო ჯეო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები	8
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
6. მარაგები.....	9
7. ძირითადი საშუალებები	9
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
9. ამონაგები.....	11
10. სხვა შემოსავლები	11
11. პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

შპს „ოქსიმო ჯეო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	9	2,435,950	2,686,289
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(25,157)	(799,454)
საერთო მოგება		2,410,792	1,886,835
სხვა შემოსავლები	10	653,065	249,858
ხელფასის ხარჯი		(1,067,625)	(650,124)
ტრანსპორტირების ხარჯი		(342,506)	(491,136)
იჯარის ხარჯი		(125,811)	(121,469)
ცვეთის ხარჯი		(133,362)	(165,475)
კომუნალური ხარჯი		(22,215)	(20,410)
რეკლამის ხარჯი		(648)	
რემონტის ხარჯი		(6,589)	
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	11	(482,995)	(177,353)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		430	589
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(64,846)	82,559
საოპერაციო მოგება		817,691	593,875
ფინანსური ხარჯი		-	(12,992)
მოგება დაბეგვრამდე		817,691	580,883
მოგების გადასახადი		(2,737)	(871)
პერიოდის მოგება		814,954	580,012

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:
 დირექტორი ----- თ. ბოლქვაძე

შპს „ოქსიმო ჯეო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	263,174	418,542
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,020,826	2,000,752
მარაგები	6	192,022	153,812
საგადასახადო აქტივები		142,506	158,894
სხვა მოკლევადიანი აქტივები		96,431	82,726
		3,714,959	2,814,727
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	335,834	259,771
არამატერიალური აქტივები		343	461
		336,178	260,233
მთლიანი აქტივები		4,051,137	3,074,959
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	63,778	61,589
მიღებული ავანსები		-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		150,992	-
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	9	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		13,820	5,778
		228,590	67,367
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	-	-
		-	-
მთლიანი ვალდებულებები		228,590	67,367
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,822,547	3,007,592
		3,822,547	3,007,592
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,051,137	3,074,960

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:
დირექტორი ----- თ. ბოლქვაძე

შპს „ოქსიმო ჯეო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	1	2,427,581	2,427,581
კაპიტალის ზრდა			
კაპიტალის შემცირება			
პერიოდის მოგება		580,012	580,012
გაცემული დივიდენდი			
ნაშთი 31.12.2023	1	3,007,592	3,007,593
კაპიტალის ზრდა			
კაპიტალის შემცირება			
პერიოდის მოგება		814,954	814,954
გაცემული დივიდენდი			
ნაშთი 31.12.2024	1	3,822,547	3,822,547


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მეწევრმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:
დირექტორი -----  ----- თ. ბოლქვაძე

შპს „ოქსიმო ჯეო“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
პერიოდის მოგება/(ზარალი)		
კორექტირებები:	814,954	580,012
ცვეთა და ამორტიზაცია	133,362	165,475
საპროცენტო ხარჯი	-	12,992
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	948,316	758,478
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,020,074)	(508,398)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(38,210)	(87,352)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	161,223	(34,408)
საგადასახადო აქტივების ცვლილება	16,388	67,637
სხვა აქტივების (ზრდა)/შემცირება	(13,705)	(17,200)
გადახდილი პროცენტი	-	(12,992)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	53,938	165,766
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(209,307)	(55,751)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული	(209,307)	(55,751)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან :		
სესხების აღებით მიღებული თანხები		
სესხების გადახდით გასული თანხები	-	(724,919)
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		
დივიდენდის გაცემა		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(724,919)
წმინდა ზრდა ფული და ფულის ეკვივალენტებში	(155,369)	(614,904)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	418,542	1,033,446
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	263,173	418,542

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:
დირექტორი -----  ----- თ. ბოლქვაძე

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ოქსიმო ჯეო (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 5 დეკემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405179783.

ძირითადი საქმიანობა. შპს ოქსიმო ჯეოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვლევებისათვის საჭირო მედიკამენტების დასაწყობება, გადაადგილება, ტემპერატურულ კონტროლი, შენახვა და დაცვა, იმპორტი/ექსპორტის დოკუმენტების უზრუნველყოფა, გადაზიდვა, მიწოდება კლინიკებში ასევე პაციენტებისათვის ტრანსპორტირების მომსახურების ორგანიზება

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, IVმ/რ, კორპ., №10ბ, ბ. 58

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია: კომპანია „ SP-Logistics Holdings LTD“ რომელიც წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის რეზიდენტს

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა მსს ფასს-ის გამოყენება. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით ან განმარტებითი შენიშვნებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3.2) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

2024, 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფული ექვივალენტები - წარმოადგენს კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	59,980	15,252
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	203,193	403,290
სულ	263,174	418,542

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები.

გაცემული ავანსები - წარმოადგენს საქონლის/მომსახურების შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

გაცემული სესხები - წარმოადგენს რეზიდენტ კომპანიაზე გაცემულ სესხს.

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,015,038	979,774
გაცემული ავანსები	11,968	12,000
გაცემული სესხები	993,820	1,008,979
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ		
სულ	3,020,826	2,000,752

6. მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ

მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

	31.12.2024	31.12.2023
მზა პროდუქცია	53,105	35,644
მცირე ფასიანი ინვენტარი	138,800	117,653
სხვა მარაგი	117	515
სულ	192,022	153,812

7. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

შპს „ოქსიმო ჯეო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2023	506,850	71,451	167,530	67,532	21,913	835,277
შემოსვლა	82,121	80,920	31,778.05	-	32,550	227,369
გასვლა	(18,062)	-	-	-	-	(18,062)
31 დეკემბერი 2024	570,909	152,371	199,308	67,532	54,463	1,044,583

ცვეთა და გაუფასურება

31 დეკემბერი 2023	297,076	44,286	166,422	45,808	21,913	575,504
პერიოდის ცვეთა გაუფასურება	80,733	24,444	25,529	13,506	2,730	146,942
გასვლა	(13,697)	-	-	-	-	(13,697)
31 დეკემბერი 2024	364,112	68,730	191,951	59,314	24,643	708,749

ნეტო საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2023	209,775	27,165	1,108	21,724	-	259,772
31 დეკემბერი 2024	206,798	83,641	7,357	8,218	29,820	335,834

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გადასახდელი ხელფასები - წარმოადგენს თანამშრომლებზე დარიცხულ ხელფასებს, რომლის გაცემაც არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	63,778	61,589
გადასახდელი ხელფასი	150,992 -	
სულ		61,589

9. ამონაგები

ამონაგები - მოიცავს როგორც საქონლის მიწოდებიდან ასევე მომსახურების გაწევიდან მისაღებ ფულად სახრსრებს ან სხვა საგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საქონელზე რისკი და სარგებელი გადაეცემა საქონლის მყიდველს

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე
 ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	2,435,950	2,686,289
სულ	2,435,950	2,686,289

10. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები-სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სხვა შემოსავლები

	31.12.2024	31.12.2023
საპროცენტო შემოსავალი	15,057	14,522
შუამავალი, კლიენტზე ანაზღაურებული კომპენსაცია	638,008	235,336
სხვა შემოსავალი	430	589
სულ	653,495	250,447

11. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები.

	31.12.2024	31.12.2023
კომუნიკაციის ხარჯები	17143	13248
გეზის ხარჯი	44040	1600
კომუნალური ხარჯი	2848	1932
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	16546	26554
დაზღვევის ხარჯი	3119	2945
საკანცელარიო/საოფისე ხარჯი	29375	29785
საკონსულტაციო ხარჯი	36000	36000
თარგმნის ხარჯი	7744	8668
მივლინების ხარჯი	16078	780
წარმომადგენლობითი ხარჯი	29025	1139
სახარჯი მასალები	172896	
სხვა ხარჯი	108181	54700
სულ	482,995	177,353

12. პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური
 ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.